# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 806.

დამატების № 144

კვირა, 26 თებერვალი 1917 წ.




კავკასიის ვექილების საბჭო.
(ჯვრებით დანიშნულები—ი. ბარათაშვილი, დავ. ხელთუფლიშვილი, სერ. ჯაფარიძე, ნ. ელიავა და გრ. რცხილაძე).

## ადამიანს

ნუ გაიკვირვებ, თუ რომ მამჩნევ სიობლის ფერსა
და ისმენ გულით ამონაკვნეს სევდიან ხმებსა,
ნუ, ნუ გგონია დავსტიროდე კერძო შავ-ბედსა
და ჩემს სიცოცხლეს უიმედოს ტანჯვის მორბედსა
სახეს დაღარულს სევდიანსა და გაფითრებულს
ნუ, ნუ გგონია მოვითხოვდე ყოფას დიდებულს
და შევნატროდე მდიდართ ოქროს ძვირფას სამკაულს
რომ ხან-მოკლეა დღენი შენი წუთი-სოფლისა
და რათა, რისთვის შენც ბუნებამ არ გშობა განა?
მაშ რათ არ ძალგიძს, რომ გაიგო შვილმა მშობლისა
და აიხსნა მისი უცნაური ეს გამოცანა
საიდან მოხველ, სად მიდიხარ შვილი სოფლისა
რათ რჩება მარად ეს სამყარო შეურყეველი
და ან კი რათ ღირს დღენი შენი მწარე ყოფნისა
თუ ვერ გაიგებ ვინ ხარ? რა ხარ? სიდან მოხველი
ბრმად დაიბადე და ბრმად უნდა საფლავს ეწვიო,
სიცოცხლეში კი ტანჯვის მეტი ვერა რა ნახო
და შენს სურვილებს მისწრაფებას ვერ მიაღწიო,
მოკვდე და მარტო უნუგეშოდ ტლუთ დაიმარხო
არც მის ვალალობ, რომ მიგელის შავი-სამარე
ხან სიცოცხლეზე უტკბესია სიკვდილი მწარე
მე ვსტირი მხოლოდ თუ ბუნებამ რად გაგაჩინა
შენს ხან-მოკლე დროს შავი ნისლი რად მოაფინა
რათ მოგიხვია ამოხსნელი სევდისა ბადე
რისთვის გაკვნესა მონობაში სულისა თქმამდე.
მე მისთვის ვსტირი და ვეძლევი ჭირსა და სნებას
ისე მოკვდები, ვერ გაიგებ ბუნების ნებას!..

დარია ახვლედიანისა.

# უსათაურო ლექსი

მაშ შენ არ შეგწევს ნიჭი და ძალა,
იტანჯო ჩემი ლექსის ტანჯვითა?
ან ის გაიგო, თუ რამ დამღალა,
რისთვის ჩამოვდნი ცრემლების ღვრითა?..
გამოიღვიძე, დასთმე ზმანეთი,
ჰკითხე ვარსკვლავებს, ჰკითხე შავ ღამეთ,
მოგიყვებიან, თუ ერთმანეთი
მე და ეჭვებმა როგორა ვსჭამეთ.
გეტყვიან, თუ ამ ჩემსა ლექსებსა
რა მწუხარების ქვითინით ვთხზავდი,
რა ქარტეხილი მამსხვრევდა ფრთებსა,
და ან რა ტანჯვას მე მივიწყავდი.
ან ჩემი ცრემლი რო ამეტყველდეს,
თუ ტანჯვათ ხეხილს რათ გამოვები,
მის ნაამბობი იქნებოდა დღეს
საუკეთესო ნაწარმოები...
მაშ შენ არ შეგწევს ნიჭი და ძალა,
იტანჯო ჩემის ლექსის ტანჯვითა?
ან ის გაიგო თუ რამ დამღალა,
რისთვის ჩამოვდნი ლექსების თქმითა?!..

ი. მჭედლიშვილი.



† ოქტავ მირბო, საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი.

# გიორგი მეზარიშვილი

I

საქართველოში ბატონყმობა ჯერ კიდევ გადავარდნილი არ იყო, როცა ცამეტ-თოთხმეტი წლის პეტრე მეზარიშვილი ტფილისს ჩაიყვანეს და ერთს მდიდარს ვაჭარს ხელზე მოსამსახურედ მიაბარეს. პატარა პეტრეს, სახლსა თუ დუქანში უზომო მუშაობით წელში სწყვეტდნენ. მაგრამ სოფელში თავიდგანვე შრომას მიჩვეული ჯაფას ეგრე რიგად არ უშინდებოდა. საქმეს ის უჭირებდა, რომ უბრალო რამისათვის წარა-მარად მისტყეპდნენ ხოლმე და თავში ცემით ტვინს ულაყებდნენ. ითმინა პეტრემ, ითმინა, მაგრამ, რაკი დარწმუნდა, ცემა-ტყეპას ბოლო არ ელებოდა, ერთს მშვენიერს დღეს დრო იხელთა, დაჰკრა ფეხი და ტფილისიდან მოჰკურცხლა. საღამო ხანი იქნებოდა, როცა ჩვენი პეტრე სამაზრო ქალაქში თავის სოფლელი დურგლის სახლს მიადგა და კარები დაუკაკუნა.

— რამ მოგიყვანა, ბიჭო, აქა. შეეკითხა დურგალი, პეტრე რომ დაინახა.

პეტრემ ყველაფერი უამბო და ბოლოს სთხოვა, შეგირდად აეყვანა და ხელობა ესწავლებინა.

ამ ამბავს ხშირად მოუთხრობდა დურგალი პეტრე თავის ერთად-ერთს შვილს, ბავშობისავე დედით დაობლებულს გიორგის



კავკასიის ჰექიმების კრება.



დეკანოზი გიორგი მარგიანი.

და ოსტატსაც დიდის სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენებ-და ხოლმე.

ჭკვიანი კაცი დადგა პეტრე; ახალი დროისათვის ალღო აუღო და შეეგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა. აკი ამიტომაც წელებზე ფეხს იდგამდა და სცდილობდა, გიორგისათვის განათლება მიეღებინებინა. „უსწავლელი კაცი და მუნჯი სულ ერთიაო“, ეტყოდა ხშირად შვილსა. „უსწავლელს კაცს ყველა ადვილად დაიბრიყვებს და დასჩაგრავსო; ჭკვიანი კაცის ნათქვამია შვილო:

„სწავლა სიკვდილამდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მ.ხე უგია, თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“.

შვიდი წლის გიორგის ქართული წერა-კითხვა თითონვე შეასწავლა და რვა წლისა რომ შესრულდა, სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარა.

დედით ობოლი იყო გიორგი, მაგრამ პეტრე შვილს უდედობას არ აგრძნობინებდა: ნაზადა და სიყვარულით ექცეოდა და იმათი მამაშვილობა ბევრს უნდა შეჰშურებოდა.

იმ სასწავლებლის მოწაფეები, საცა გიორგი სწავლობდა, უმეტეს წილად ღარიბი დედ-მამის შვილები იყვნენ. გიორგიც ხომ ღარიბი იყო, მაგრამ ბევრი იმაზე უფრო ღარიბად გამოიყურებოდა. არ გამოჰპარვია ესა დაკვირვებულსა და გულკეთილს ბავშვსა და



† ნიკ. ხულაქველიძე
(გერმ. ფრონტზე).



† თეოფ. ხულაქველიძე
(რუმინ. ფრონტზე).

ბევრჯელ გულიც ასტკივნია. განსაკუთრებით ებრალებოდა ერთი თავისი ტოლი მოწაფე ლექსო. ლექსოს ძველი, დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსი ეცვა. ფეხზე ვიღაცის ნაჩუქარი, ვაჟი-კაცის ძირგავარდნილი ფეხსაცმელი უფანფალებდა. ერთი ხუთჯერ მაინც იქნებოდა დაკერებული; ეტყობოდა ტყავი ძაფს ველარ იმაგრებდა და ორივე ფეხის თითები ზევით ამოეყარა.

ზამთრის ყინვიანს დილას, მობუზული, სიცივისაგან აკანკალებული და სახე-გაფითრებული ლექსო, სასწავლებელში რომ მოირბენდა, მაშინვე ბუხრისაკენ გაექანებოდა, რომ გაყინული ფეხები გაეთბო. გიორგი ჰხედავდა ამასა, ეცოდებოდა და ჰფიქრობდა: „ნეტავი ერთი ფული მქონდეს, რომ თბილი ფეხსაცმელი და ტანისამოსი უყიდოო“.

ერთხელ გიორგის წიგნების აბგაში პურის ყუა და ყველის ნაჭერი ჩაედო და სასწავლებელში მოეტანა. აბგიდან რომ ყველი და პური ამოიღო და ჭამა დაუწყო, ლექსოს თვალი შეასწრო. საწყალს ბავშვს პური ჰშიებოდა, თხოვნა ვერ გაებედნა და გიორგის შორიდან უცქეროდა.

— აქ მო, ლექსო, დაუძახა გიორგიმ. ლექსო გაუბედავად მივიდა.

— დაჯექი ერთი, თუ ძმა ხარ, ჭამაში დამეხმარე. ლექსო ხარბად მიაძლა პურსა. აღმოჩნდა, რომ გუშინდელს აქეთ პირში ლუკმა არ ჩაეშვა.

— მამილო, უთხრა საღამოთი თავის მამას გიორგიმ, ჩვენ ღარიბები ვართ, არა?

— ჰო, შვილო მდიდრები არა ვართ, მაგრამ, ღვთის მოწყალებით, თითო ლუკმა პური მოგვეპოება.

— ლექსოაანი ჩვენზე ღარიბები არიან. იმათ თურმე ხანდახან პურიც არა აქვთ. დღეს ლექსო სულ მშიერი იყო. ცოდოა, მამა, ლექსოი.

— ჰო, შვილო, ცოდოა.

— რად არის, მამა, ესე, ზოგი ღარიბია, ზოგი მდიდარი?

— გაიზრდები შვილო, და შენ თითონვე გაიგებ.

— ლექსო ისეთი კარგი ბიჭია, რომ ღარიბი არ უნდა იყვეს კარგადაცა სწავლობს; მასწავლებელი სულ „ბარაქალა, ბარაქალას“ ეუბნება.

გიორგი ლექსოს დაუამხანაგდა. როცა კი პურს მოიტანდა სასწავლებელში, ყოველთვის ლექსოს უწილადებდა. ერთს საღამოს მამამ გიორგი ხარაზხანაში წაიყვანა და მესტები უყიდა. ბავშვს ახალი მესტები ძალიან უხაროდა. მთელ ღამეს სულ იმას ჰფიქრობდა, რომ დილით ახალი ფეხსაცმელით გაიქცეოდა სასწავლებელში და ამხანაგებს აჩვენებდა. სასწავლებელში მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე წავიდა და ამხანაგებს აჩვენებდა თავის ახალს მესტებსა.

ლექსო ჯერ არა სჩანდა... აგერა ლექსოც მოვიდა და პატარა გიორგი იმისაკენ გაექანა.

— შეხე, ლექსო, რა კარგი მესტები მაცვია, სულ ახალია.

— მართლა, რა კარგია და... ვინ გიყიდა?

— მამამ.

— საწყალი მამაჩემი... იმ დღეს კინაღამ იტირა. ამბობდა რომა, მამა მოგიკვდეს შვილო, შენ რომ ეგრე შიშველი და მიდი-

ხარო. მაგრამ რა ვქნაო; ექვსი სხვა შვილი მყავს გამოსაზრდელიო. მამაჩემი ძალიან კარგია, ფული არა აქვს, თორემ მეც შენსავით კარგს მესტებს მიყიდდა. ჰეე, რა კარგი მესტებია და...

გიორგი გაჩუმდა; შერცხვა თავისი მესტებისა.

— მე ასეთი კარგი, ახალი ფეხსაცმელი მაცვია და ამას კი დაგლეჯილ-დაფლეთილიო; ლექსოს კი არ უნდა კარგი მესტები— ამბობდა თავისთვის. მეორე დღეს ისევ ძველი ფეხსაცმელით მივიდა სასწავლებელში; ჰფიქრობდა, ახალი რომ მეცვას, ლექსოს გულს დააკლდებაო.

გიორგი რომ ცოტა წამოიზარდა, მამა და შვილი ამხანაგებივით შეიქნენ. შვილი რომ გაკვეთილებს მორჩებოდა, ტკბილად ჰუკჰუკებდნენ ან კიდევ გიორგი ხმა მაღლა რომელსამე წიგნს კითხულობდა და პეტრე ისმენდა. პეტრე დიდი მოსიყვარულე იყო ძველი მწიგნობრობისა.

— თვალი კარგად აღარ მიჭრის შვილო, და აბა ერთი შენ წამიკითხე რამე „ვეფხის ტყაოსნიდანა". მაგრამ შვილს აღარ დააცლიდა, თითონვე ზეპირად დაიწყებდა:

„მაშინ ქაჯეთს მოაწია უსაზომო რისხვა ღვთისა,
კრონოს, წყრომით შემხედველმა, მოაშორა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,
კელნი მკვდართა ვერ იტევდა, გადიადდა ჯარი მკვდრისა".

შვილიც დაჯდებოდა და უკითხავდა, ხან „ვეფხის ტყაოსანსა", ხან „გურამიანსა", ხან ბეჟანიანსა".

*
* *

გიორგიმ სამოქალაქო სასწავლებელი რომ გაათავა, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა. ერთი თვის წასული არ იქნებოდა, რომ მამა გარდაიცვალა. ძალიან შეაწუხა შვილი მამის სიკვდილმა. სევდა და მწუხარება დიდხანს არ მოშორებია იმის გულსა. მცირედი დახმარება რომ ჰქონდა მამისაგან, ისიც მოაკლდა, მაგრამ სწავლის გემო უკვე გილებული ჰქონდა შეგნებულად და ფარხმალი არ დაუყრია. საკუთარის შრომით ირჩენდა თავსა და ჩინებულადაც გაათავა ვადაზე ინსტიტუტი. მაგრამ სწავლა მოწყურებულს, ჯანღონით სავსე ჭაბუკს არ აკმაყოფილებდა ინსტიტუტის განათლება—უნივერსიტეტისაკენ ისწრაფოდა მისი გონება. დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება გიმნაზიის კურსის ჩასაბარებლად საკუთარის ძალღონით. მხოლოდ უცხო ენების შესწავლაში ეხმარებოდა ზოგიერთი გიმნაზიელი ამხანაგი. მცირე ხანს შემდეგ გიმნაზიის კურსის გათავების მოწმობა ხელი ეჭირა, ფული და აკლდა უნივერსიტეტში შესასვლელად. ტფილისის ერთ-ერთის ქართული გაზეთის რედაქციაში შევიდა კორექტორად, მოწაფეებიც აიყვანა და შეუდგა ფულის მოგროვებას.

შემოდგომაზე მცირეოდენის თანხით გასწია რუსეთისაკენ. შევიდა უნივერსიტეტში, დაიწყო მეცადინეობა. არ გასულა სამიოდე თვე, რომ სამშობლოდან გამოყოლილი ფული შემოაკლდა. ძალიან გაჭირვებაში ჩავარდა. მართალია ერთი მოწაფე ჰყავდა, მაგრამ ჯილდოდ ისე ცოტას იღებდა, რომ ნახევრად მშიერი იყო. შემდეგ ხშირად იგონებდა ერთს ამბავს: გიორგი სცხოვრობდა თავისავით ხელ-მოკლე ამხანაგთან ერთს პატარა ოთახში. „თაგვი კუდს ვერ მოიქნევდაო" იტყოდა ხოლმე. დიდს უფულობას განიცდიდნენ. მოწაფეც წაუვიდათ. ერთხელ ისესხეს ამხანაგისაგან ფული, მეორედ, მესამედ. შერცხვათ ამდენჯერ ფულის თხოვნისა და ორს დღეს ცალიერი ცხელის ჩაით იჭყიპებოდნენ. დაიწყეს ქალაქის ლომბარდში ტანისამოსის ზიდვა. დააგირავეს ჯერ პალტო, მერე ტუჟურკა. ფული არსაიდან სჩანდა, ვერც მოწაფეები იშოვეს; ადამიანს კი ჭამა უნდა, სმა უნდა და დაგირავებულს პალტოებსა და ტუჟურკებში აღებული ფულიც შემოელიათ. დასაგირავებელი თითქმის აღარაფერი ჰქონდათ. ბევრი ითათბირეს და დიდხანს ვერაფერი გამოიგონეს.

— ბიჭოს, წამოიძახა ვანომ—გიორგის ამხანაგმა—რა დიდებული აზრი მომივიდა!

— რა აზრი, რა?

— მოდი ერთ-ერთის შარვალი და ხალათი დავაგიროთ.

— რას ამბობ, კაცო, უნივერსიტეტში სიარული აღარ გვინდა?

— რიგ-რიგობით ვიაროთ, ხან ერთმა ჩავიცვათ, ხან მეორემ.

მცირე ყოყმანის შემდეგ გიორგისაც მოეწონა ეს აზრი. დაასკვნეს შარვლისა და ხალათის დაგირავება. ერთი რომ გავიდოდა გარედ, მეორე სახლში უნდა დარჩენილიყო: ლოგინში ჩაწვებოდა ან ზეზე იქნებოდა საბან შემოხვეული. გულიანად იცინეს და თავისი გადაწყვეტილება აასრულეს.

კიდევ კარგა ხანს იყო გიორგი ასეთს გაჭირვებაში მაგრამ ნელ-ნელა ადგილობრივს საზოგადოებას გაეცნო და მოწაფეებმაც დაიწყეს მისკენ დენა. ბოლოს და ბოლოს იმდენს გაკვეთილს შოულობდა, რომ თავის ამხანაგებსაც კი შესთავაზებდა ხოლმე.

(შემდეგი იქნება).

ვ. ეგნატაშვილი.

# ღრუბლები

(უკრაინული).

მ. კოცუბინსკისა.

როცა ღრუბლებს შევყურებ, ამ მიწისა და მზის შვილებს, ცის სიღრმეში ატყორცნილი, მაღლა, სულ მაღლა რომ იწევემ და მტრედისფერ გზაზე მისრიალებენ,—მგონია მგოსნის სულს ვხედავ მეთქი.

მე ვცნობ ამ სულს. მისრიალებს იგი ფაქიზი და ნათელი, ზე-ქვეყნიურ სიტურფის, სიმშვენიერეს მოწყურებული, მსუბუქი და კრიალა, ვარდის ბაგეზე რომ ოქროს ღიმი დაჰკვდომია და სასიმღეროდ სიყვარულით აჰიმნებულა.

მე ვიცნობ მას. მაღალი და რთულია, სავსე ნაღველით და ამოუტირალ ცრემლით. მთელი ქვეყნის სევდით დატვირთვული, უბედურ დედამიწაზე გულის ტკენით მობინდულ-მოღუშული, შავად მიიკლაკვნება, მძიმედ სუნთქავს ალიცლიცებულ მკერდით, მზეს სახეს არიდებს და ნაზ ცრემლით მწარედ სტირის მანამდე, ვიდრე გულზე არ მოეშვება.

მე ვიცნობ მას. ის... მოუსვენარი, ცეცხლით გაჟღენთილი, ანთებული დიდ და სამართლიან რისხვით, ცის მკერდზე გახელებული მისრიალებს და ოქროს ფიჩხით მისდევს, მიერეკება ზარმაც დედამიწას. წინ!.. წინ!.. ჰეი!.. მალე მასთან ერთად!.. მალე, მილიონჯერ მალე სივრცეში!.. და უყივის ისე, რომ ყველამ გაიგონოს, რომ არავის ეძინოს, რომ გაიღვიძოს ყველამ...

მე მესმის მისი. მარად უკმაყოფილომ, მარად მაძიებელმა, მარადიულ კითხვასთან გადაკვანძულმა—„რად?" „რისთვის?"—დედამიწის თავზე დაუშვა რუხი ფრთები, რომ მან მზე ვერ დაინახოს, რომ ჩრდილში ჩაიხრჩოს დედა-მიწა, და აბნევს, სთესს ჟუჟუნა ნისლიან სევდას...

მგოსანო, არ მიკვირს, არ მიკვირს, რომ ღრუბლები გიყვარს. შენთან ვარ და თანაგიგრძნობ, როცა სევდიანი, შურით შეჰყურებ ღრუბელს, რომ იკარგება, იშლება და ჰქრება მტრედის ფერ უდაბნოში.

ხანგანიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.